# ელექტრონული საგადახდო დავალება No 2288

Transfer Order No 2288

იგრძენი მომავალი საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA

თარიღი/Date: 04/08/2016 რეფერენს ნომერი/Reference number: 4649339324

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს სვეტი ჯგუფი

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE26BG0000000556839900GEL

თანხა/Amount
8000 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
საქართველოს ბანკი

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
რვა ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს სვეტი ჯგუფი

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
405105292

მიმღების დასახელება/Recipient
თვითმმართველი ქალაქი თბილისი-შემოსავალი საწქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank
04/08/2016

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
04/08/2016

გადახდის დანიშნულება/Description
დადგენილება N001025 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შექმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK

ხელმძღვანლის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:


# ელექტრონული საგადახდო დავალება No 2288

Transfer Order No 2288

იგრძენი მომავალი საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA

თარიღი/Date: 04/08/2016 რეფერენს ნომერი/Reference number: 4649339324

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს სვეტი ჯგუფი

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE26BG0000000556839900GEL

თანხა/Amount
8000 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
საქართველოს ბანკი

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
რვა ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს სვეტი ჯგუფი

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
405105292

მიმღების დასახელება/Recipient
თვითმმართველი ქალაქი თბილისი-შემოსავალი საწქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank
04/08/2016

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
04/08/2016

გადახდის დანიშნულება/Description
დადგენილება N001025 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შექმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK

ხელმძღვანლის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/ე 795-16

"15" 06 2016 წ.

დადგენილება №001025
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

15.06.2016წ.

ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2016 წლის 20 იანვრის №001025 მითითება და 2016 წლის 15 თებერვლის №001025 შემოწმების აქტი შედგენილი **შ.პ.ს. "სვეტი ჯგუფი"-ს** (საიდენტიფიკაციო კოდი №405105292 დირ. თორნიკე ჯანელიძე (პირადი №60001033836), დირ. გივი ჯიბლაძე (პირადი №60001032760), მის: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. №217, ბ, №55) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ჭყონდიდელის ქ. №22-ში (საკ. კოდი №01.12.12.024.018) შ.პ.ს. "სვეტი ჯგუფი"-ს მიერ განხორციელდა ორი რკინა-ბეტონის საძირკვლის მოწყობა და ქვაბულის ამოღების სამშენებლო სამუშაოები შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე.

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2016 წლის 20 იანვარს შედგენილ იქნა მითითება №001025, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 25 (ოცდახუთი) დღიანი ვადა ობიექტის დემონტაჟისათვის უსაფრთხოების წესების დაცვით და ქვაბულის პირვანდელ მდგომარეობაში მოსაყვანად ან შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად.

2016 წლის 15 თებერვალს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001025, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

2016 წლის 21 მარტს და 2016 წლის 28 მარტს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვები. საქმის განხილვათა თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს, რომელიც სხდომებზე არ გამოცხადდა.

06.07.2016წ.
08.07.16

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის №4-3/109-გ/16 15.04.2016წ. ბრძანებით, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების ვადა გაგრძელებულ იქნა 2016 წლის 15 აპრილიდან 2016 წლის 15 ივნისამდე.

2016 წლის 09 ივნისს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. სხდომის შესახებ მხარეს ეცნობა სათანადო წესით. სხდომაზე მხარე არ გამოცხადდა. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. "სვეტი ჯგუფი"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ჭყონდიდელის ქ. №22-ში (საკ. კოდი №01.12.12.024.018) შ.პ.ს. "სვეტი ჯგუფი"-ს მიერ განხორციელდა ორი რკინა-ბეტონის საძირკვლის მოწყობა და ქვაბულის ამოღების სამშენებლო სამუშაოები შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონი "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "გ" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "სვეტი ჯგუფი" დაჯარიმდეს 8.000 (რვაათასი) ლარით ქ. თბილისში, ჭყონდიდელის ქ. №22-ში (საკ. კოდი №01.12.12.024.018) უნებართვოდ სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისათვის;

2. შ.პ.ს. "სვეტი ჯგუფი"-ს დაევალოს ქ. თბილისში, ჭყონდიდელის ქ. №22-ში (საკ. კოდი №01.12.12.024.018) მდებარე მიწის ნაკვეთის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა (უნებართვოდ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების დემონტაჟი);

3. შ.პ.ს. "სვეტი ჯგუფი"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

4. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "სვეტი ჯგუფი"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

6. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე

მ. ჯაფელი